603/2 N 10167

პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

2 ივლისი, შაბათი, 1988 წ.
№ 127 (9794) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინფორმაციო ცნობა

სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის მიმდინარეობის შესახებ

მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სახახლეში, 1988 წლის 29 ივნისს მუშაობას განაგრძობდა სკკპ XIX საკავშირო კონფერენცია.

დილის სხდომას თავმჯდომარეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ნ. ზაიკოვი.

კონფერენციის დელეგატებმა მოიხმინეს სამანდატო კომისიის მოხსენება, რომელიც გააკეთა ამ კომისიის თავმჯდომარემ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. პ. რაზუმოვსკიმ. სამანდატო კომისიის მოხსენება ერთხმად დაამტკიცეს.

შემდეგ დელეგატები კვლავ განიხილავდნენ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებას „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მიმდინარეობისა და გარდაქმნის გაღრმავების ამოცანების შესახებ“.

კამათში გამოვიდნენ ამხანაგები ვ. ი. კალაშნიკოვი — სკკპ ვოლგოგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ვ. კარპოვი — სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი, ფ. ვ. პოპოვი — სკკპ ალტაის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. პ. სმირნოვი — ლენინგრადის ვ. ი. ლენინის სახელობის ოპტიკურ-მექანიკური გაერთიანების რადიოაპარატურის დამრეგულირებელი, გ. ა. არბატოვი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ინსტიტუტის დირექტორი, ა. ს. ვეზიროვი — აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

კონფერენციის მონაწილეებმა აირჩიეს კომისიები, რომლებიც მოამზადებენ რეზოლუციათა პროექტებს:

„სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მიმდინარეობისა და გარდაქმნის გაღრმავების ამოცანების შესახებ“ და „საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიზაციისა და პოლიტიკური სისტემის რეფორმის შესახებ“.

„ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შესახებ“.

„ეროვნებათშორისი ურთიერთობის შესახებ“.

„საჯაროობის შესახებ“.

„სამართლებრივი რეფორმის შესახებ“.

შესვენების შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ცენტრალური კომიტეტის მდივნის ნ. ნ. სლიუნკოვის თავმჯდომარეობით განახლდა მოხსენების განხილვა. კამათში მონაწილეობდნენ ამხანაგები: მ. ა. ულიანოვი — რუსეთის სფსრ თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, ბ. ვ. კაჩურა — უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ს. ა. ფედოტოვა — ქალაქ პერმის № 130 სკოლის მასწავლებელი, გ. ი. მარჩუკი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

საღამოს სხდომას თავმჯდომარეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. პ. ნიკონოვი.

მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: ს. გ. არუთინიანი — სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ე. ე. სოკოლოვი — ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ი. ვ. ბონდარევი — რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, ი. კ. პოლოზკოვი — სკკპ კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ი. მირონენკო — საკავშირო ალკკავ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. პ. კაბაიძე — ივანოვოს სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის ჩარხსაშენებელი საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი, ბ. ვ. პუგო — ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

კონფერენციის მონაწილეთა გამოსვლები დიდი უურადღებით მოიხმინეს, დარბაზში გაისმოდა რეპლიკები, გამოცოცხლებული შეძახილები, პოლემიკური შენიშვნები.

სხდომის დასასრულს ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა უპასუხა კონფერენციის პრეზიდიუმში შემოსულ მთელ რიგ შეკითხვებს.

* * *

1988 წლის 30 ივნისს კრემლის ყრილობათა სახახლეში მუშაობას განაგრძობდა სკკპ XIX საკავშირო კონფერენცია.

დილის სხდომას თავმჯდომარეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი.

კონფერენციის დელეგატები კვლავ განიხილავდნენ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებას „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მიმდინარეობა და გარდაქმნის გაღრმავების ამოცანები“.

კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: ვ. ი. პოსტნიკოვი — სტავროპოლის მხარის „სტავროპოლსკოეს“ საწარმოო საბრიოლერო გაერთიანების გენერალური დირექტორი, ვ. ა. იარინი — ხვერდლოვსკის ოლქის ნიკონ ტაგილის ვ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიული კომბინატის დგანის ოპერატორი, ა. ა. ლოგუნოვი — მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ვ. ი. მელნიკოვი — სკკპ კომის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ჯ. ი. პატიაშვილი — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ა. სტაროდუბცევი — ტულის ოლქის „ნოვომოსკოვსკოეს“ აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე.

კონფერენციის დელეგატების მიერ აღძრული მთელი რიგი პრინციპული საკითხების გამო ახსნა-განმარტებით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი — „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მიმდინარეობისა და გარდაქმნის გაღრმავების ამოცანების შესახებ“ და „საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიზაციისა და პოლიტიკური სისტემის რეფორმის შესახებ“ რეზოლუციების პროექტების შემმუშავებელი კომისიის თავმჯდომარე.

დღის სხდომაზე, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. შჩერბიცკი თავმჯდომარეობდა, გამოვიდა სამანდატო კომისიის თავმჯდომარე გ. პ. რაზუმოვსკი. მან განაცხადა, რომ ფაქტები, რომლებსაც შეიცავს უურნალი „ოგონიოკის“ მიერ გამოქვეყნებული სტატია „პირდაპირ“, უფრო გულმოდგინე შემოწმებას საჭიროებს, და წინადადება წამოაყენა ეს საკითხი დაეკვალოთ სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიული კონტროლის კომიტეტსა და სსრ კავშირის პროკურატურას. წინადადება მიიღეს.

დელეგატთა თხოვნით ამ საკითხს შესაბამისი განმარტება მისცა უურნალ „ოგონიოკის“ მთავარმა რედაქტორმა ვ. ა. კოროტიჩმა.

შემდეგ მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ ამხანაგები: კ. ზ. რომაზანოვი — ყარაღანდის მეტალურგიული კომბინატის მეფოლადე, ვ. ი. სარანსკიხი — სკკპ ჩერეპოვეცის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ლ. პ. უოვეტიევა — ნოვოსიბირსკის ოლქის სსრ კავშირის 60 წლისთავის სახელობის „პერვომაისკის“ სახეზეთსახანაშენის ფერმის ზოოტექნიკოსი, რ. ნ. ნიშანოვი — უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ი. დ. ლაპტევი — გაზეთ „იზვესტიის“ მთავარი რედაქტორი.

საღამოს სხდომას თავმჯდომარეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ი. ვოროტნიკოვი.

მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: ს. ნ. ფიოდოროვი — დარგთაშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსის „თვალის მიკროქირურგიის“ გენერალური დირექტორი, ჭ. მოსკოვი, ბ. ა. ბოროვიკი — საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, ვ. მ. პლატონოვი — „ჩელიაბინსკის ვ. ი. ლენინის სახელობის სატრაქტორო ქარხნის“ საწარმოო გაერთიანების პარტიული კომიტეტის მდივანი, ო. მ. ზასაროვა — „ოკუტალმასის“ საწარმოო-სამეცნიერო გაერთიანების № 12 მამდიდრებელი ფაბრიკის ოპერატორი, ა. მ. ფატეევი — სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი, გ. ი. ზაგაინოვი — ნ. ე. ჟუკოვსკის სახელობის ცენტრალური აეროჰიდროდინამიკის ინსტიტუტის განყოფილების უფროსი, ვ. ი. ნიეელსკი — ორსკ-ხალილოვოს მეტალურგიული კომბინატის მეაირე, ჭ. ნოვოტროიცკი, რ.-ბ. ი. სონგაილა — ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ა. პ. აიდაკი — ჩუვაშეთის სსრ კოლმეურნეობა „ლენინსკაია ისკრას“ თავმჯდომარე.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

2 ივლისი, შაბათი, 1988 წ.
№ 127 (9794) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ოლიმპიური შესარჩევი...

ამსტერდამი. კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ზონის ოლიმპიურ შესარჩევ ტურნირში საბჭოთა ნაკრებმა პირველი შეხვედრა ჩაატარა და საკმაოდ დიდი უპირატესობით დაამარცხა პოლონეთის გუნდი — 126:76 (74:36). გამარჯვებული გუნდი განსაკუთრებით კარგად გამოიყურებოდა შეტევებში. ცხრაჯერ ჩვენმა კალათბურთელებმა ზუსტი სამქულიანი სროლა განახორციელეს. ყველაზე შედეგიანი მოთამაშეები იყვნენ მარჩიულიონისი, ტარაკანოვი (20-20 ქულა) და კურტინაიტისი (18 ქულა).

მეოთხე ჯგუფში კიდევ ერთი შეხვედრა გაიმართა. საფრანგეთის გუნდმა შვეიცარიის კალათბურთელებს აჯობა — 96:56.

დაიწყო თამაშები მესამე ჯგუფშიც, სადაც ფავორიტებად ევროპის შარშანდელი ჩემპიონი საბერძნეთი და იუგოსლავია ითვლება. ბერძნებმა სასტარტო შეხვედრაში ისრაელის ნაკრები დაამარცხეს 85:70 (მატჩის საუკეთესო სნაიპერი იყო კონტინენტის უძლიერესი კალათბურთელი გალისი — 27 ქულა), იუგოსლავიელებმა კი ნორვეგიელებს სძლიეს 87:51.

სხვა ორ ჯგუფში წინასწარი შეხვედრები უკვე დასასრულს უახლოვდება. მეორე ჯგუფში ლიდერობას იტალიის ნაკრები ინარჩუნებს, რომელმაც მესამე წრეში ესპანეთის აჯობა — 118:62, ფინალში მოხვედრის შანსს ინარჩუნებენ გფრ-ის გუნდიც, რომელმაც მეექვსე ტურში ფინეთის ნაკრები დაამარცხა — 107:85.

მესამე შეხვედრა მოიგო პირველი ჯგუფის ლიდერმა ესპანეთმაც. ამჯერად მისი მეტოქე შვეიცარიის კოლექტივი იყო — 103:97. ინგლისელმა კალათბურთელებმა ადვილად აჯობეს ირლანდიელებს — 106:69. ესპანეთისა და იტალიის გუნდებმა ფინალში თამაში ფაქტიურად გაიარეს.

სკ. სსრ კ. მარჩენის სახ. სახ.

„ლელოს“ საკონსულტაციო ბუნჯი გთავაზობთ

სად ვიმარჯვოთ, სად დავისვენოთ, სად ვიასპარეზოთ

პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ორგანიზაციები ყოველ შაბათს და კვირას ატარებენ სპორტულ და მასობრივ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს. ამუამად მიმდინარეობს მუშათა სპარტაკიადა, რომლის პირველ ეტაპზე ფიზკულტურულ კოლექტივებში ცალკეული ბრიგადები, უბნები და განყოფილებები მონაწილეობენ.

პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების თბილისის საქალაქო საბჭოს თაოსნობით 2-3 ივლისს ტარდება მასობრივი ტურისტული ლაშქრობა შრომითი კოლექტივების საერთო საცხოვრებლებში მცხოვრებთათვის. ეს სიახლეა. ტურისტები იკრიბებიან კახპის რაიონის სოფელ რკონის მიდამოებში. იქვე მოეწყობა შეჯიბრება ტურისტულ მრავალჯიდში.

თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სპორტული კლუბი „შევარდენი“ დღეს და ხვალ ტურისტულ ლაშქრობაში იწვევს ამავე ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს და მათი ოჯახის წევრებს, აგრეთვე, მიკრორაიონში მცხოვრებ მსურველებს.

დღეს და ხვალ ტურისტულ ლაშქრობებს აწყობენ აგრეთვე ქუთაისის და რუსთავის ფიზკულტურული ორგანიზაციები.

თბილისის სპორტკომიტეტიდან ვვაცნობებ: 2 და 3 ივლისს კოკვიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში 10 საათიდან ჩატარდება მასობრივი შეჯიბრებები ფრენბურთში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთსა და ჭადრაკში, რომელშიც საწარმოო კოლექტივების გარდა მონაწილეობის მიღება შეუძლია სპორტის ყველა მოყვარულს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში კი ჩატარდება შეჯიბრებები მინიფეხბურთში, აქაც შრომითი კოლექტივები და ფეხბურთის თამაშის მსურველები მონაწილეობენ.

ყურადღება! რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, ცალკეულ კოლექტივებს ვთხოვთ ინფორმაციები. იმის შესახებ თუ რა ფიზკულტურულ-სპორტული ღონისძიებების ჩატარება აქვთ დაგეგმილი შაბათს და კვირას, მოგვაწოდონ ინფორმაციები ყოველი კვირის ოთხშაბათისა, რადგან მკითხველთა და სპორტის მოყვარულთა თხოვნით ახალი ცნობები, წინასწარი თადარიგის დასაჭერად, უმჯობესია ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდეს ყოველ ხუთშაბათს.

ეროვნული

პოპულარული ამერიკული ეურნალი „სპორტ ილუსტრეიტედი“ დაინტერესდა საბჭოეთში, კერძოდ საქართველოში ბეისბოლის დანერგვის მდგომარეობით, მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივებით. ამ დღეებში თბილისში ჩამოვიდნენ ეურნალის წარმომადგენლები. ისინი გაეცნენ დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს, სპორტულ ბაზებს. იყვნენ „მზიურში“, ბეისბოლის სტადიონის მშენებარე ობიექტზე. შემდეგ სტუმრები შეხვდნენ და ინტერვიუ ჩამოართვეს სსრ კავშირის ბეისბოლის ფედერაციის თავმჯდომარეს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგეს რ. გოგლიძეს.

სურათზე (მარჯვნიდან მარცხნივ): ეურნალ „სპორტ ილუსტრეიტედის“ უფროსი რედაქტორი სტივ ვულფი, ფოტორეპორტიორი პიტერ მილერი და მისი ასისტენტი ჩარლზ ეიკერი.

ეს გადაღებული დღეს გაიხსნება თბილისის ბალრაკის სასახლეში. თქვენ შესაძლებლობა გეძლევათ გაეცნოთ საბჭოთა და ამერიკელი ფოტოფურნალისტების საუკეთესო ნაგებობებს. გამოფენის ორგანიზატორია საბჭოთა კავშირის „ოლიმპიასპორტ კავშირი“ და ამერიკული ეურნალი „სპორტ ილუსტრეიტედ“. დანერგვა თავისუფალია.
გამოფენის გახსნის საზეიმო ცერემონიალი გაიმართება 18 საათზე. დღესვე, 18 საათზე, იმავე ადგილზე ჭრილობანერგვა.

ემთავრა შეხვედრის წინ

საფრანგეთის ქალაქ ბელფორში დასასრულს უახლოვდება „მსოფლიო თასის“ გათამაშება ჭადრაკში. ფინიშზე საუკეთესოდ თამაშობს მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი. XII-XIII ტურებში მან დაამარცხა იან ელვესტი და ნაიჯელ შორტი, დააგროვა 10,5 ქულა და 2 ქულით უსწრებს უახლოეს მდევარს — მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ანატოლი კარპოვს, რომელმაც ზემოაღნიშნულ ტურებში ყაიმით დაამთავრა შეხვედრები შორტთან და ჯონათან სპილმენთან. გადადებული პარტიების დამთავრებისას კი მან დაამარცხა იან ტიმანი, ხოლო რობერტ ჰიუბნერს დაუზავდა. სატურნირო ცხრილში 8 ქულით III ადგილზე გადაინაცვლა ელვესტმა, რომელმაც XIII ტურში ქულა გაიყო ანდრეი სოკოლოვთან შეხვედრაში.

ასე, რომ შეიძლება ითქვას, გარი კასპაროვმა ტურნირის დამთავრებამდე 2 ტურით ადრე უკვე გაიარა I ადგილი. ლიდერის დაწევის თეორიული შანსი მხოლოდ კარპოვს აქვს. ამრიგად, მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესოა ამ ორი მოჭადრაკის პირადი შეხვედრა, რომელიც ბოლოსწინა, XIV ტურში შედგება.

ელვა-ინფორმაცია

საბჭოთა ჩოგბურთელები ნატალია ზვერევა და ლარისა სავჩენკო წყვილთა თანრიგში უიმბლდონის ტურნირის ფინალში გავიდნენ.

ᲙᲐᲚᲛᲘᲡ ᲬᲕᲔᲠᲖᲔ — ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ — „ᲡᲝᲕᲔᲢᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ“ ᲤᲣᲜᲪᲚᲔᲑᲖᲔ

ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲥᲕᲔᲨᲘ?

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

წლების განმავლობაში ვქმნიდით პარტიული მუშაკის ისეთ სახეს, რომელიც დღეს ვერ უძლებს კრიტიკას. როგორც წესი, ეს იყო ძნელად გასაგები, ხალხზე და წარმოებაზე ნიადგ მზრუნველი ადამიანი, რომელსაც პირადი ცხოვრება არა ჰქონდა. ეს იყო „ცხოვრებისაგან დაღლილი“, განმდგარი ადამიანის განსახიერება ჩვენი გულისათვის რომ ეწვეა მძიმე ჯაპანს. მაგრამ სინამდვილეში როგორია იგი?

სულ უფრო ცხადი ხდება, რომ ჩვენი ხალხის ჯანმრთელობა, მის ყოველდღიურ ცხოვრებაში ფიზიკური კულტურის დანერგვა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე თუ რა დამოკიდებულება აქვს ამ საკითხებთან პარტიის წევრს, პარტიულ მუშაკს. ახალგაზრდა კომუნისტთა პარტიულ მუშაობაში ჩაბმა — დროის მოთხოვნაა. მისთვის უცხოა მუშაობის კაბინეტური სტილი, ყოყლოჩინობა, ბიუროკრატიული მიდგომა. როცა ვლაპარაკობთ, რომ საჭიროა მეტი სინათლე, არც იმ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მეტი სუფთა ჰაერი, მეტი ფიზიკური და ზნეობრივი სიწმინდეც და კაცთმოყვარეობაც გვინდა. როგორ არ გავიხსენო აქ ვ. ი. ლენინის სიტყვები „ჩვენს ქვეყანას სჭირდება ფიზიკურად ძლიერი - ნებისყოფიანი, მამაცი, ენერგიული, შეუპოვარი ხალხის მილიონნახევარი არმია“. სწორედ ასეთ ხალხზე ბევრადაა დამოკიდებული გარდაქმნის წარმატება.

როცა ვლაპარაკობთ პარტიულ ჟუშაკზე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პროფესიული თვისებების მოთხოვნებთან ერთად ფიზიკური კონდიციის, პარტიული სამუშაოს შესრულებისას ძალთა მთელი გახარჯვისთვის მზადყოფნაა საჭირო. ჩვენს ქვეყანაში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევის ანალიზმა გვიჩვენა, რომ პარტიის წევრთაგან დაახლოებით 7 პროცენტი მისდევს შუმდივად ფიზიკურ კულტურას, შემთხვევიან შემთხვევამდე კი 11. მათგან 9 პროცენტამდეა ჩაბმული სპორტულ სექციებში, სამამდე საერთო ფიზმომზადების ჯგუფებში და 34 პროცენტი ვარჯიობს დსმოუკიდებლად, 4 პროცენტი ასრულებს საწარმოო ტანვარჯიშს. დაბალი ფიზკულტურულ-სპორტული აქტიკობა უარყოფითად მოქმედებს მათ ჯანმრთელობაზე. გამოკითხვამ დაგვანახა, რომ თვით პარტიის წევრთა სუბიექტური შეფასებითაც კი მხოლოდ 26 პროცენტმა აღნიშნა, რომ „სრულიად ჯანმრთელნი“ არიან, 50 პროცენტი მიუთითებს, რომ მათი ჯანმრთელობა დამაკმაყოფილებელია, 24 პროცენტი კი ე. ი. ყოველი მეოთხე, აღიარებს, რომ ცუდი ჯანმრთელობა აქვს.

კი მაგრამ, ხომ სწორედ პარტიულ მუშაკებზეა ბევრად დამოკიდებული ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური კულტურის განვითარება.

გამოკითხულ პარტიის წევრთაგან ყოველმა მეოთხემ აღნიშნა, რომ სამუშაოზე მალე იღლება, ყოველმა მეორემ — რომ ზოგჯერ იღლება, მხოლოდ ყოველი მეათე გამოთქვამს აზრს, რომ არ იღლება. აღსანიშნავია: გამოკითხულთა 30 პროცენტზე მეტი მომდევნო სამუშაო დღისათვის ძალას ვერ აღიდგენს.

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ეს ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, რომ პარტიის წევრები თავიანთი ცხოვრების წესიდან გამორიცხავენ ფიზკულტურასა და სპორტს, რაციონალურად, ჯანმრთელობისათვის სასარგებლოდ ვერ იყენებენ თავისუფალ დროს.

გამოკითხულთა 80 პროცენტი გრძნობს ფიზკულტურასა და სპორტში მეცადინეობის აუცილებლობას, მაგრამ მათგან მხოლოდ ყოველი მესამე ადევნებს თვალყურს თავის ჯანმრთელობას, რათა გამუდმებით იყოს სპორტულ ფორმაში.

გამოკითხულთა ყოველ მესამეს ვერ შეუდგენია დილის ვარჯიშის კომპლექსი, 60 პროცენტზე მეტი ფიზიკური ვარჯიშის კომპლექსის შედგენაში ვერც თავისი ოჯახის წევრებს ეხმარება, აგრეთვე ვერ დაუდგენია საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობა და ვერც მორგებული აუცილებელი რეჟიმი შეუშუშავებია. მესამემდა კი არ იცის რამდენია მისი მაჯისცემა და არტერიული წნევა.

ფიზკულტურაში მეცადინეობა მარტო ჯანმრთელობას კი არ აკაჟებს, არამედ ხელს უწყობს პარტიის წევრთა აქტიურ ურთიერთობას ხალხთან, ადვილად უშკლავდებიან უარყოფითი სტრესის შედეგებს, ნერვულ დაძაბულობასა და გონებრივ დაღლას.

და განა შეიძლება ახლა წარმოიდგინო პარტიული, რომელიც გარდაქმნის მოთხოვნათა ცენტრში ტრიალებს, არ ესმოდეს ფიზიკური კულტურის მთელი სიკეთე? რატომდაც გვეურბივართ ვაჩვენოთ როგორ ატარებს პასუხისმგებელი პარტმუშაკი თავისუფალ დროს. კარგად ვიცით სპორტის რომელ სახეობას ან ფიზკულტურას მისდევს აშშ-ის პრეზიდენტი, ან სხვადასხვა ქვეყნის ლიდერი, მაგრამ როგორ უყურებენ ფიზკულტურას ჩვენი ხელმძღვანელები — წარმოდგენა არა გვაქვს.

ამ საკითხთან დაკავშირებით ხშირად უნდა მივმართოთ ვ. ი. ლენინს — აი, რას ამბობდა მასზე ნ. კ. კრუპსკაია: „იგი ასკეტი არ ყოფილა, უყვარდა ციგურებით სრიალი და ველოსიპედით სეირნობა... მთაშიც დადიოდა და სანადიროდაც, უყვარდა მუსიკა, უყვარდა ცხოვრება თავისი მრავალწახნაგოვანი სილამაზით, უყვარდა ამხანაგები, უყვარდა მეგობრები“. გ. მ. კრიჟანოვსკი აღნიშნავდა, რომ „ლენინი ჩვენთვის იყო სულიერი და ფიზიკური სიჯანსაღის შესანიშნავი მაგალითი“.

კარგად დამამახსოვრდა ერთი შემთხვევა, თურმე ეგრეთ წოდებულ უძრაობის პერიოდში ერთ-ერთი პარტიული სამსახურში სირბილით მიდიოდა და ამის გამო მისი „საქმე“ განიხილეს მოსკოვის კომისიის დონეზე.

მორბენალი პარტიული მუშაკი?... სხვა საქმეა — სამსახურში სასწრაფო დახმარების გამოძახება. ეს დროის მოთხოვნას შეეფერებოდა.

პარტიული მუშაკის ფიზკულტურაში მეცადინეობის მაგალითები მისასალმებელია და მას პროპაგანდაც უნდა გავუწიოთ. როგორც . წესი, რეგიონებში, სადაც პარტიული ხელმძღვანელები თვითონ იძლევიან პირად მაგალითს, დაწესებულებებში ხალხის ყოფაში სპორტის დანერგვის საკითხები დღევანდელი მოთხოვნის სულისკვეთებით წყდება. ლაპარაკია, მაგალითად, მოსკოვის კალინინის რაიკომის მდივან ა. რუდაკოვზე, პერმის ოლქის ბერეზნიკოვის ქალაქკომის პირველ მდივან ვ. აგალკოვზე, მოსკოვის ოლქის კალინინგრადის ქალაქკომის მდივან ტ. გუსევზე. სასიამოვნოა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიაში შეიქმნა ფიზიკური კულტურის კათედრა. თუმცა, მართალია, მსგავსი კათედრები უმაღლეს პარტიულ სკოლებში ჯერ არ არის. იქ კი მსმენელები ოთხწლიან განყოფილებებზე სწავლობენ, „ფიზიკური კულტურის“ საგანი კი არაა პროგრამაში.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი მეცნიერების აკადემიის გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ, პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის ჯანმრთელობა უარესდება. თუ 1987 წლის მონაცემებით მათ შორის 11 პროცენტი სრულიად ჯანმრთელი იყო, 1988 წელს, ეს მონაცემი 8 პროცენტამდე დავიდა. შესაბამისად იმატა იმათმა რიცხვმა, ვისაც მთლად კარგი ჯანმრთელობა არა აქვს — 1988 წელს ამ ციფრმა 47 პროცენტს მიაღწია. თითქმის ყოველი მესამე, სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ დაღლილობას გრძნობს. პარტკომის მდივნებს შორის თავისუფალ დროს 13 პროცენტი მეცადინეობს ფიზკულტურასა და სპორტში. ისინი ჯანმრთელობისათვის უფრო საუნას და აბანოს იყენებენ, შედარებით იშვიათად კი ფიზიკურ კულტურას. პარტიულ მუშაკთა 13 პროცენტი წამლების ამარაა. პარტორგანიზაციის ყოველი 2-სამე მდივნის აზრით, 1987 წელს დაქმნამ დადებითად იმოქმედა კოლექტივში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაზე. ყოველმა მეორემ აღნიშნა, რომ „როგორც იყო, ისევე დარჩა“. 7 პროცენტმა განაცხადა, რომ მისი მდგომარეობა გაუარესდა, გავიდა წელიწადი, ეს აზრი კი ანალოგიურია.

სკკპ რაიკომების, ქალაქკომების შტატიან პარტიულ მუშაკებში მდგომარეობა განსხვავებულია. მათ შორის 1987 წელს 14 პროცენტი იყო სრულიად ჯანმრთელი, წელს — 10 პროცენტი. ჯანმრთელობით უკმაყოფილონი 21 პროცენტს შეადგენდა, ახლა — 24-ს.

ჯერ არ მახსოვს ისეთი შემთხვევა, რომ კომუნისტის, პარტიული მუშაკის, პირველადი პარტორგანიზაციის მდივნის საწესდებო მოთხოვნათა შესრულების შესახებ ანგარიშის მოსმენისას დაინტერესებულიყვნენ: ეწევა თუ არა იგი ჯანსაღ ცხოვრებას, რეგულარულად მეცადინეობს თუ არა ფიზკულტურასა და სპორტში. ასეთი პრაქტიკა რომ იყოს, ჯანმრთელი ცხოვრების მომხრეები ხალხის ჯანსაღ ცხოვრებასთან დაკავშირებულ მრავალ საკითხს „გაიტანდნენ“. ასეთი „აუღიარებელი“ მომხრეები კი ცოტანი როდი არიან. კერძოდ, იგულისხმება ე. იალოვი (სევასტოპოლი), ე. მილნერი (სმოლენსკი), დ. ფასტოვსკი (მოსკოვი), ო. ლოსი (ლენინგრადი), „სოვეტსკი სპორტი“ წერდა, რომ ეს ხალხი დაიღალა ფორმალიზმთან, ბიუროკრატებთან ბრძოლაში და ისინი ხელს იღებენ თავიანთ საქმიანობაზე. განა პარტიული მუშაკები დაუშვებენ იმას, რომ ასე მოხდეს?

ვთქვათ, იგივე დილის ან საღამოს გარბენი პარტიულ ხელმძღვანელს უკეთესად არ დაანახვებს თავის ქალაქს, მიკრორაიონს? ანდა თუ პარკში, ან სტადიონზეც შეირბენს, რამდენი რამ გახდება მისთვის ნათელი, ამას თუ ვარჯიშის დროს „უბრალო“ მშრომელებთან გასაუბრება მოჰყვება, მაშინ ასეთი „გასვლების“ სარგებლობა გაცილებით მეტი იქნება. თუ მას ახალგაზრდობაზე დაყრდნობა უნდა, იცნობდეს მის ინტერესებს, მაშინ მან არ უნდა აუქციოს გვერდი სპორტულ სანახაობას, ამასთან ლოჟაში კი არ უნდა გამოიჭიმოს, არამედ დაჯდეს ტრიბუნაზე, ყველასთან ერთად. იგი აუცილებლად უნდა იყოს შეჯიბრებებზე, ახალგაზრდებს შორის და თუ ვითარებამ მოითხოვა, მასთან ერთად ივარჯიშოს კიდეც. ვფიქრობ, მაშინ უფრო ადვილად გაუგებენ ერთმანეთს.

იმაზე, რომ პარტიულმა მუშაკმა უნდა მისდიოს ფიზკულტურას, ნათლად მეტყველებს შემდეგი მონაცემი: მხოლოდ 2 პროცენტი გრძნობს მხნედ თავს სამუშაოს დამთავრების შემდეგ. ყოველ მეორეს ფიზიკური ვარჯიშის მოთხოვნილება აქვს, მაგრამ მხოლოდ 21 პროცენტი ასრულებს მას თავისუფალ დროს.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ყოველდღიური 10-12 საათიანი მუშაობის შემდეგ, ხშირ შემთხვევაში დასვენების დღეც რომ არა გაქვს, ყოველთვის იყო თავშეკავებული, კარგ გუნებაზე, ხალხთან ურთიერთობის დროს არ გამოხვიდე წონასწორობიდან, ოჯახსაც მიხედო და მონაწილეობა მიიღო ბავშვების აღზრდაში. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ფიზკულტურაში მომეცადინე პარტიული მუშაკის ფიგურა ვერ ერწყმის გარდაქმნის მსვლელობას.

ჩვენს ქვეყანაში ჯანსაღი ცხოვრების თაოსნები და პროპაგანდისტები კომუნისტები უნდა იყვნენ. სიტყვით კი არა — საქმით.

პ. ᲕᲘᲜᲝᲒᲠᲐᲓᲝᲕᲘ,
სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის სახწავლო და სამეცნიერო-გამოთვლითი ცენტრის განყოფილების გამგე, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

„ᲡᲝᲕᲔᲢᲡᲙᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ“, 29 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ.

ᲭᲐᲑᲣᲙᲗᲐ II ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲬᲚᲘᲜ

ᲮᲕᲐᲚ ᲘᲬᲧᲔᲑᲔᲜ

მᲨᲕᲘᲚᲓᲝᲡᲜᲔᲑᲘ უკვე 3 ივლისს ჩებოქსარში დაიწყებენ ბრძოლას ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშების მედლებისათვის. ახეთ დროს, ცხადია, გუნდში ყველაფერი გარკვეულია და გადაწყვეტილი. ჩებოქსარში გამგზავრების წინ ვესაუბრეთ საქართველოს ჭაბუკ მშვილდოსანთა ნაკრების უფროს მწვრთნელს ვლადიმერ ლეკვეიშვილს, რომელმაც გუნდის შემადგენლობა გაგვაცნო და მის პერსპექტივებზეც ილაპარაკა.

— პერსპექტივა? მესამე ადგილი გუნდურ პირველობაში და ერთ-ერთი მედალი — პირადში. ეს ძალიან გაბედული პროგნოზია, ადრე რომ იყო 16 მეტოქესთან კი არა, ახლა 22 კოლექტივთან მოგვიწევს ბრძოლა, მშვილდოსნობაში უძლიერესი ნაკრებები, მაგალითად, რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, 2-3 გუნდებით იასპარეზებენ.

რაც შეეხება ჩვენს გუნდს, მოსამზადებელი პერიოდი კარგად გავიარეთ და ამჟამად ყველაფერი რიგზეა. ოთხ-ოთხი მშვილდოსანი გვყავს გოგონათა და ჭაბუკთა ნაკრებში, ყველანი სპორტის ოსტატები არიან. გოგონათა გუნდში სამი თბილისელია, ნატო ნასარიძე, სულიკო თოფურია და ხათუნა ქოლენტი. ერთიც ბათუმელი — ტატიანა შოუა.

ჭაბუკთა გუნდში პირიქითაა, სერგო ბერიძე, თამაზ ბასილაძე და თემურ გორგოშიძე ბათუმელები არიან, გია დოლიძე თბილისელია. ჩვენი ნაკრები ძალზე ახალგაზრდულია. წესით, ჭაბუკთა საკავშირო თამაშებზე უფლება გვაქვს 1970 წელს დაბადებული მშვილდოსნები გამოვიყვანოთ. ჩვენი



სპორტსმენები კი, ტატიანა შოუას გარდა, ამ ასაკზე ორი-სამი წლით უმცროსები არიან. თუმცა, რამდენიმე მათგანმა უკვე დაამტკიცა, რომ უფროსებთანაც შეუძლია წარმატებით ბრძოლა. ალბათ იცით, ნატო ნასარიძემ ჩებოქსარში საკავშირო პირველობა მოიგო, იგი და სულიკო თოფურია ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების წევრები არიან. წელან შედალი რომ ვახსენე, სწორედ ნატო ნასარიძის იმედი გვაქვს.

ᲔᲡᲣᲑᲐᲠᲐ ᲑᲘᲝᲠᲒᲘ ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

+1

ᲐᲣᲖᲘ — ᲔᲜᲔᲠᲐᲨᲘ

დიდი ხალხმრავლობა იყო ზედა ეწერის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც საზეიმო ვითარებაში გაიხსნა 25-მეტრიანი დახურული საცურაო აუზი. მეურნეობის დირექციამ (დირექტორი ემზარ ნემსაძე) გაითვალისწინა ახალგაზრდობის დიდი სურვილი და ააგო მშვენიერი საცურაო აუზი, რომელსაც აქვს საშხაპეები, მწვრთნელთა ოთახები, 500 კაცზე გათვალისწინებული ტრიბუნა, სხვა საჭირო სათავსები. ახლა აქ ნებისმიერი რანგის შეჯიბრების ჩატარება შეიძლება.

ზეიმის დღეს გაიმართა საჩვენებელი გამოსვლები ცურვაში, რომლებშიც მონაწილეობდნენ საქართველოს ნაკრების წევრები, ხობელი სპორტსმენები, ანაკლიისა და დარჩელის საშუალო სკოლის მოსწავლეები.

აუზი სრული სიმძლავრით დაიტვირთება, კვალიფიციური მწვრთნელები სათავეში ჩაუდგებიან სხვადასხვა ასაკის ცურვის მოყვარულთა სექციებს, გაიხსნება ფასიანი გამაჯანსაღებელი ჯგუფები.

აღსანიშნავია, რომ ეს აუზი პირველი დახურული საცურაო ბაზაა ზუგდიდში. მალე ექსპლოატაციაში შევა საქალაღალმრეწვის ენგურის ქაღალდკომბინატის საცურაო აუზიც. ასეთივე მშენებლობა მიმდინარეობს რუხში და კახათში. ასე რომ, ცურვის მოყვარულთა დიდი ხნის ოცნება რეალობად იქცევა.

ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲫᲕᲐᲜᲘᲐ.
„ᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲮᲐᲒ. ᲙᲝᲠ.
ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ.

ᲠᲕᲐᲒᲖᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ

მᲔᲠᲕᲔᲯ მოიპოვა ყრუ კლასიკურ მოჭიდავეთა საკავშირო ჩემპიონატის ოქროს მედალი თბილისელმა ფალვანმა რამინ ფოლადიშვილმა (82 კგ), რომელიც ევროპის ჩემპიონის ტიტულსაც ატარებს. შეჯიბრებაში, რომელიც მანაჩაულაში მიმდინარეობდა, რ. ფოლადიშვილმა (მწვრთნელი შ. სანაძე) რეკორდულად სწრაფ გამარჯვებებს მიაღწია, ვადამდე მოუგო ყველა მეტოქეს.

ჩემპიონატში საპრიზო ადგილზე გავიდა საქართველოს რამდენიმე მოჭიდავე. ვერცხლის მედლები მოიპოვეს ზ. ალბოროგომა (48 კგ), ვ. მუსაევმა (57 კგ), ბრინჯაოსი — ვ. პლიევმა (74 კგ). გარდა ამისა, მე-4 ადგილზე გავიდა 19 წლის ს. სოტიევი, მეხუთეზე — მ. ქვლიციძე (68 კგ).

საბჭოთა კავშირის ყრუ მოჭიდავეთა უფროსი მწვრთნელის ი. გორინოვის თქმით, რ. ფოლადიშვილი ჩარიცხულია საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში. იგი მონაწილეობას მიიღებს ინვალიდსპორტსმენთა შეჯიბრებაში, რომელიც სეულში, ოლიმპიადის დღეებში გაიმართება. ქვეყნის ნაკრებში ჩარიცხულია პერსპექტიული ფალვანი ს. სოტიევიც.

ᲝᲗᲮ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐᲨᲘ

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘ ოსეთის პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საოლქო საბჭოს სპარტაკიადაზე — საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ჩოსაწილე გუნდები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ფრენბურთში, ტენისის სროლაში, მაგიდის ჩოგბურთსა და ტურისტულ მრავალჭიდში.

სპარტაკიადაზე განსაკუთრებით გამოირჩია თავი ქარხანა „ელექტროვიბრომანქანის“ გუნდმა (მეთოდისტი ალ. გათიკოევი). მან ფრენბურთსა და ტურისტულ მრავალჭიდში უძლიერესის სახელი მოიპოვა და ღირსეულად დაიკავა პირველი ადგილი. II-III ადგილებზე შესაბამისად გავიდნენ ტრიკოტაჟისა და სამკერვალო ფაბრიკების გუნდები.

ᲚᲔᲘᲚᲐ ᲡᲣᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘ.
(„ᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲮᲐᲒ. ᲙᲝᲠ.).

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲓᲘᲐ. გაიმართა საკავშირო პიონერული სამხედრო-სპორტული თამაშის „ცისკრის“ XII რაიონული შეჯიბრება.

პირველი ადგილი დაიკავა სამტრედიის მე-2 საშუალო სკოლის გუნდმა.

ᲘᲝᲡᲔᲤᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.
„ᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲙᲝᲠ.

საქართველოს პირველობა

განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები.

„ივერია“ (ხაშური) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 2:0. მსაჯი გ. მიქაუტაძე (ქუთაისი). გოლები: ღამბაშიძე-2 („ივერია“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ა. სევასტოპელო („მაღაროელი“).

„ბახტრიონი“ (ახმეტა) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 1:2. მსაჯი ე. გვარამაძე (რუსთავი).

„ხულორი“ (ვანი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 4:0. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი). გოლები: პაიკიძე, ორმოცაძე-2, ტყეშელაშვილი („სულორი“).

„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 1:1. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი). გოლები: კიკნაძე („მეტალურგი“), ჩიჩუა („დინამო“).

„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 2:0. მსაჯი ვ. წულუკიძე (ფოთი). გოლები: გუჩუა, ქობალია („ამირანი“).

„დურუჯნი“ (ყვარელი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 2:0. მსაჯი ა. კოკაია (თბილისი). გოლები: მექვაბიშვილი, მინდიაშვილი („დურუჯნი“).

„მეშახტე“ (ტყიბული) — „მადნეული“ (ბოლნისი) 1:1. მსაჯი რ. ვერულაშვილი (თბილისი). გოლები: ნატროშვილი („მეშახტე“), დოლიძე („მადნეული“).

„არმაზი“ (მცხეთა) — ფიზკ. ინსტიტუტი (თბილისი) 1:0. მსაჯი გ. კალანდია (ზუგდიდი). გოლი: ხუციურაული („არმაზი“).

„ქართლი“ (გორის რ-ნი) — „სეფერი“ (წალენჯიხა) 0:0. მსაჯი ხ. პრავოვი (თბილისი).

„შადრევანი“ (წყალტუბო) — „საღხინო“ (გეგეჭკორი) 5:4. მსაჯი ო. გაგუა (ხოსუმი). გოლები: სვანაძე, კერესელიძე-2, ჯ. იობიძე, რ. იობიძე („შადრევანი“). მონიავა, ჭუბაბრია, მურვანიძე, ოდიშარია („საღხინო“).

„ კოლხეთი“ (ხობი) — „დინამო“ (გაგრა) 4:2. მსაჯი კ. დავიდიანი (ბათუმი). გოლები: კაციტაძე, ჩიმაკაძე, მელია, ქომეთიანი („კოლხეთი“), კვარაცხელია, რაგანანი („დინამო“).

მკითხველებს ვაუწყებთ, რომ მსაჯმა ე. გვარამაძემ (რუსთავი), ახმეტის „ბახტრიონისა“ და ცხინვალის „სპარტაკის“ 25 ივნისს ჩატარებული მატჩის ოქმი ფეხბურთის სამმართველოში დღემდე არ წარადგინა.

მსაჯთა რეიტინგი. XVIII ტური.

„სალხინო“ (გეგეჭკორი) — „ქართული“ (გორის რ-ნი). **ი. კანდელაკი, თ. სოფრომაძე, თ. კურტანიძე** (თბილისი). „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „ივერია“ (ხაშური). **რ. ტალიაშვილი, ა. მანუკიანი, გ. თხელიძე** (თბილისი), „საპოვნელა“ (თერჯოლა) — „ბახტრიონი“ (ახმეტა). **თ. ლორთქიფანიძე, უ. ფურცელაძე, ზ. თოფურია** (თბილისი). „სულორი“ (ვანი) — „დურუჯნი“ (ყვარელი) **თ. სადილიანი, დ. გაგნიძე, ვ. ეჯიბია** (თბილისი). „სეფერი“ (წალენჯიხა) — „არმაზი“ (მცხეთა). **რ. ვერულაშვილი** (თბილისი), **დ. გვაზავა** (აბაშა), **თ. კახიანი** (სამტრედია). „მადნეული“ (ბოლნისი) —„მეტალურგი“ (ზესტაფონი). **ა. შილაკაძე, შ. ხანიაშვილი, ო. გუნთაძე** (თბილისი). ფიზკ. ინსტიტუტი (თბილისი) — „მეშახტე“ (ტყიბული). **ჯ. წერეთელი, ნ. ფოლადაშვილი, გ. შაყბულიძე** (რუსთავი). „დინამო“ (ზუგდიდი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ). **თ. ლაცაბიძე, ზ. დარჩია** (თბილისი), **თ. მაჭარაძე** (წულუკიძე). „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „კოლხეთი“ (ხობი). **ე. ხილაგავა, მ. ჭელიძე** (თბილისი), **ა. ეიუაშვილი** (მცხეთა). „ეგრისი“ (ცხაკაია)— „შადრევანი“ (წყალტუბო). **მ. მალაღურაძე, გ. სეფიაშვილი, თ. სოფრომაძე** (თბილისი), „დინამო“ (გაგრა) — „ამირანი“ (ოჩამჩირე). **გ. გაბისკირია, ო. გაგუა, ვ. ტოროსიანი** (სოხუმი).

II ჯგუფი აღმოსავლეთი ქვეჯგუფი

„აბული“ (ახალქალაქი) — „თორი“ (ბორჯომი) 1:0, სსი (მუხრანი) — ასს (თბილისი) 4:1, „თრიალეთი“ (წალკა) — „იმედი“ (თბილისი) 4:1, „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „კახეთი“ (თელავი) 1:2, სპი „დინამო“-3 — „მესხეთი“ (ახალციხე) 6:0, „ვარძია“ (ასპინძა) — „არაგვი“ (დუშეთი) 0:1, „ალგეთი“ (მარნეული) — „ფოსტალტი“ (თბილისი) 1:0, „მეტალისტი“ (რუსთავი) — უნივერსიტეტი (თბილისი) 3:1, „სამგორი“ (გარდაბანი) — „მეფრინველე“ (კასპი) 1:0.

დასავლეთი ქვეჯგუფი

„ბახბარო“ (ჩოხატაური) — „ჩიბათი“ (ლანჩხუთი) 3:1, „იმერეთი“ (წულუკიძე) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 4:1, „მამისონი“ (ონი) — პოლიტ. ინსტ. (ქუთაისი) 2:1, „ნარინჯი“ (ქობულეთი) — „დვაბზუ“ (მახარაძე) 2:0, ხდკ (სამტრედია)— „საირმე“ (მაიაკოვსკი) 2:1, „ჩხერიმელა“ (ორჯონიკიძე) — „ოდიში“ (ზუგდიდი) 2:2, „დარჩელი“ (ზუგდიდის რ-ნი) — „კოლხეთი“-2 (ფოთი) 3:2.

გალის „მზიურთან“ სათამაშოდ არ გამოცხადდა ამბროლაურის „ქიმიკოსი“. ადგილობრივმა სპორტის მესვეურებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ ფეხბურთის სამმართველოს გუნდის გამოუცხადებლობის მიზეზი.

III ჯგუფი აღმოსავლეთი ქვეჯგუფი

„შირაქი“ (წითელი წყარო) — „მიონი“-35 (თბილისი) 2:0, „გარისი“ (თეთრი წყარო) — „მეტალურგი“-2 (რუსთავი) 4:1, „სიხათლე სპორტინტერნატი“ (თბილისი) — „ვარდისუბანი“ (ლაგოდეხის რ-ნი) 1:2, „კოლმეურნე“ (მარნეულის რ-ნი) — „თუშეთი“ (ახმეტის რ-ნი) 1:0, „ქიზიყი“ (სიღნაღის რ-ნი) — „გარეჯი“ (საგარეჯო) 2:6, „ნაფარეული“ (თელავის რ-ნი)— „ალაზანი“ (გურჯაანი) 1:1, „მარაბდა“ (ყოდა) — „განთიადი“ (დმანისი) 3:3.

ცენტრალური ქვეჯგუფი

„ქვემო ჭალა“ (კასპის რ-ნი) — „ფარვანა“ (ბოგდანოვკა) 2:1, „ორპირი“ (ტყიბული) — „ბაღიათი“ (ჯავა) 4:0, „ხვამლი“ (ცაგერი) — „ლიახვი“ (ცხინვალი) 0:0, „ფეიქარი“ (წულუკიძე) — „მეავეჯე“ (ახალდაბა) 1:1, „ცენტრმეტალურგმშენი“ (ზესტაფონი) — „ავტომობილისტი“ (გორის რ-ნი) 6:0, „იბერია“ (ქარელი) — „ზარზმა“ (ადიგენი) 1:1, „ჭოგნარი“ (თერჯოლა) — „მეშაქრე“ (აგარა) 3:1.

დასავლეთი ქვეჯგუფი

„განთიადი“ (ცხაკაია) — „ბეთლემი“ (ქედა) 0:1, „სპარტაკი“ (ბათუმი) — „კახაბერი“ (ხელვაჩაურის რ-ნი) 2:0, „ახალსოფელი“ (ზუგდიდის რ-ნი) — „მეშახტე“ (ტყვარჩელი) 2:2, „მელექედური“ (მახარაძის რ-ნი) — „ავტომობილისტი“ (ბათუმი) 4:2, „კოლხიდა“ (ქუთაისი) — „ალიონი“ (გალის რ-ნი) 5:2.

სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში
გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 2 ივლისისთვის (ძირითადი შემადგენლობანი)

		თ.	1	2	3	4	5
1.	„დინამო“ (კიევი)	11	7	3	1	15-4	17
2.	„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	12	6	5	1	18-5	17
3.	„ზენიტი“ (ლენინგრადი)	12	7	2	3	23-17	16
4.	„უალგირისი“ (ვილნიუსი)	11	6	3	2	16-11	15
5.	„სპარტაკი“ (მოსკოვი)	10	5	4	1	18-7	14
6.	„ტორპედო“ (მოსკოვი)	13	5	4	4	13-13	14
7.	„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	12	5	3	4	14-11	13
8.	„მეტალისტი“ (ხარკოვი)	13	4	5	4	12-15	13
9.	„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	13	6	0	7	11-15	12
10.	„დინამო“ (მოსკოვი)	12	5	2	5	14-15	12
11.	„არარატი“ (ერევანი)	13	4	4	5	8-10	12
12	„დინამო“ (მინსკი)	12	2	5	5	9-11	9
13.	„დინამო“ (თბილისი)	12	4	0	8	16-21	8
14.	„შახტიორი“ (დონეცკი)	11	2	4	5	8-12	8
15.	„ნეფთჩი“ (ბაკო)	12	3	1	8	9-15	7
16.	„ყაირატი“ (ალმა-ათა)	13	2	1	10	8-20	5

30 ივნისს გაიმართა სსრ კავშირის 51-ე საფეხბურთო ჩემპიონატის მე-13 ტურის მატჩები. ამ დღეს კალენდრით დანიშნული იყო 7 თამაში, მაგრამ იმის გამო, რომ ევროპის ჩემპიონატში მონაწილე გუნდების ფეხბურთელებს დასვენების საშუალება მიეცათ, შედგა მხოლოდ 4 მატჩი.

ამ ტურში წარმატებით ითამაშეს სტუმრებმა: დნეპროპეტროვსკის „დნეპრმა“ მინსკში ანგარიშით 1:0 დაამარცხა ადგილობრივი „დინამო“, მოსკოვის ტორპედოელებმა ერევანში მოუგეს „არარატს“ — 2:0. ხარკოვის „მეტალისტმა“ შინ 2 ქულა აიღო ბაკოს „ნეფთჩისთან“ შეხვედრაში — 1:0, ხოლო მოსკოვის „ლოკომოტივმა“ ანგარიშით 2:0 დაამარცხა ოდესის „ჩერნომორეცი“.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ორი წლით აუკრძალა საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობა მექსიკის ნაკრებ გუნდებს (ლაპარაკია ფიფა-ს ეგიდით გამართულ შეჯიბრებებზე).

ფიფა-ს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა ამ დღეებში შედგა ციურიხში. აქ განიხილეს მექსიკელთა იმ დარღვევის საკითხი, რომელიც მათ ჩაიდინეს ახალგაზრდული გუნდების (ასაკი 20 წლამდე) მსოფლიო ჩემპიონატის მატჩში გვატემალის ნაკრებთან. დადგინდა, რომ მექსიკის გუნდში ოთხი ფეხბურთელი გამოდიოდა, რომელთა ასაკი აღემატებოდა დადგენილ ლიმიტს. დისკვალიფიკაციის ვადა აღინიშნება 25 აპრილიდან, როცა გვატემალისა და მექსიკის გუნდები ერთმანეთს გვატემალა-სიტიში შეხვდნენ, ეს აკრძალვა კი ნიშნავს, რომ მექსიკის გუნდი მონაწილეობას ვერ მიიღებს 1988 წლის ზაფხულის ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირში, რომლის საგზურიც მას უკვე მოპოვებული ჰქონდა. გარდა ამისა, მექსიკელი ფეხბურთელები მონაწილეობას ვერ მიიღებენ 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებშიც.

ფიფა-ს აღმასკომის წარმომადგენელმა ისიც აღნიშნა, რომ სამუდამო დისკვალიფიკაცია ემუქრება მექსიკის ფეხბურთის ფედერაციის ზოგიერთ წევრსაც, თუ დადასტურდა მათი პირადი ბრალი მომხდარ ამბავში.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ჟ. აველანჟი სულ ახლახან ჩინეთში ესწრებოდა ფეხბურთელ ქალთა დიდ საერთაშორისო ტურნირს, პრეზიდენტის აზრით შეჯიბრება მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარდა, ჩინელებმა კარგად ჩაატარეს შეჯიბრება, ამიტომაც შესაძლოა სწორედ ჩინეთში შედგეს 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთელ ქალთა შორის.

უეფა-ს საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის პრეზიდენტმა ჟ. ჟორგმა (საფრანგეთი) განაცხადა, რომ ევროპის შემდგომი, IX ჩემპიონატი 1992 წელს გაიმართება, ფინალური ტურნირის მასპინძლობის სურვილი გამოთქვეს ესპანეთისა და შვეიცარის ფეხბურთის ფედერაციებმა.

ბრაზილიელების დიდი ტურნე

რიო-დე-ჟანეიროში გამართულ პრეს-კონფერენციაზე გამოაცხადეს, რომ ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრები 7 ივლისს დიდ საზღვარგარეთულ ტურნეს იწყებს. ჯერ იგი მონაწილეობას მიიღებს „ოთხთა ტურნირში“, რომელიც მელბურნში (ავსტრალია) გაიმართება. აქ ბრაზილიელები 7 ივლისს ავსტრალიის ნაკრებს შეხვდებიან, 10 ივლისს — არგენტინელებს, 13 ივლისს კი — საუდის არაბეთის ნაკრებს. 17 ივლისისთვის დანიშნულია გადამწყვეტი მატჩი ამ ტურნირის ორ უძლიერეს გუნდს შორის.

შემდეგ ბრაზილიის ნაკრები ევროპაში გაემართება. 28 ივლისს ოსლოშია დანიშნული მატჩი ნორვეგიელებთან, 31 ივლისს კი სტოკჰოლმში შეედებთან, ხოლო 3 აგვისტოს — ვენაში ავსტრიელებთან.

ნაკრების მწვრთნელმა კარლოს ალბერტო სილვამ გამოაცხადა იმ ფეხბურთელების სია, რომლებიც ტურნეში მიიღებენ მონაწილეობას: **მეკარეები**—ტაფარელი („ინტერნასიონალი“) და ზე კარლოსი („ფლამენგო“), დაცვა — ბატისტა (მინეიროს „ატლეტიკო“), ჟორგინიო („ფლამენგო“), რიკარდო („ფლუმინენსე“), ანდრე კრუზი („ჰონტე პრეტა“), ალოიდიო, ლუის კარლოსი (ორივე—„ინტერნასიონალი“), ნელსინიო („სან-პაულუ“), **შუა ხაზი** — დუგლასი („პორტუგეზა“), ადემირი („კრუზეირო“), ბილტონი („კურიტიბა“), ჯოვანი („ვასკო და გამა“), ედუ („პალმეირასი“), კარეკა („კრუზეირო“), **თავდასხმა** — ადემარი („კორინტიანსი), რომარიო („ვასკო და გამა“), ვენატო („ფლამენგო“), მიულერი („სან-პაულუ“), ვალდო (პორტუგალეგრეს „გრემიო“):

ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაცია ამ ტურნეზე დიდ იმედებს ამყარებს, ნაკრების მოთამაშეთა უმრავლესობა სეულის ოლიმპიადაზე ასპარეზს გამოსცლას.

II ლიგა

გაიმართა II ლიგის III ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის მატჩები: „ნარტი“ (ჩერკესკი) — „ოლიმპია“ (ლენინაკანი) 0:0, „ტორპედო“ (ტაგანროგი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 2:1, „ლუჩი“ (აზოვი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 0:0, „მაშუკი“ (პიატიგორსკი) — „მეტალურგი“ (ლიპეცკი) 2:0, „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) — „ურალანი“ (ელისტა) 3:0, „სპარტაკი“ (ანაპა) — „ვოლგარი“ (ასტრახანი) 1:0, „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) — „დინამო“ (სოხუმი) 2:0, „ისკრა“ (ერევანი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 2:0, „სპარტაკი“ (ნალჩიკი) — „სპარტაკი“ (ტამბოვი) 5:0. „დრუჟბა“ (მაიკოპი) — „ლორი“ (კიროვაკანი) 2:1.

II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა X ტურში ქუთაისის „ტორპედომ“ კამიშინის „ტექსტილშჩიკს“ უმასპინძლა.

ქუთაისის ტორპედოელები IX ზონის ლიდერები არიან, ამიტომაც მათი ყოველი შეხვედრა გულშემატკივართა დიდ ინტერესს იწვევს. ქუთაისელმა ფეხბურთელებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ, რათა წარმატებით დამთავრონ წლეულდელი გათამაშება და პირველ ლიგაში გადასასვლელ ტურნირში მიიღონ მონაწილეობა.

30 ივნისს კამიშინის „ტექსტილშჩიკთან“ შეხვედრაში ტორპედოელებს ცდა არ დაუკლიათ გამარჯვების მისაღწევად, მათ მეტად საჭირო 2 ქულა ჩაიწერეს თავიანთ აქტივში — 2:0. ბურთები გაიტანეს დარასელიამ და თევზაძემ. ქუთაისელთა შემადგენლობა: ჩხეიძე (ბაბუნაძე), ჰაპავა (ფრუიძე), ჩხაიძე, ბზიკაძე, თევზაძე, შენგელია (გიგატაძე), მალანია, გაბისკირია (კიკლიაშვილი), მეგრელაძე, დარასელია, კაჭარავა (შეყრილაძე).

გამარჯვებას მიაღწია გათამაშების ერთ-ერთმა ლიდერმა რუსთავის „მეტალურგმა“, რომელმაც თავის მოედანზე აჯახის „გოიაზანს“ უმასპინძლა. რუსთაველებმა ძლიერად, მონდომებით ითამაშეს და დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს —3:0. მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს ენდელაძემ, კულუმბეგოვმა და ქასრაშვილმა.

ამავე დღეს გაიმართა ტურის კიდევ ერთი შეხვედრა, თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე „ლოკომოტივი“-ომკ-მ კიროვაბადის „ქიაფაზს“ უმასპინძლა. მასპინძლებმა პირველი ნახევარი მოიგეს ანგარიშით 1:0. შესვენების შემდეგ ტერიტორიული უპირატესობა კვლავ მათს მხარეს იყო, მაგრამ თავდამსხმელები გადამწყვეტ მომენტებში უზუსტოდ თამაშობდნენ, ამით კარგად ისარგებლეს სტუმრებმა, მათ 70-ე წუთზე 11-მეტრიანით ჯერ გაათანაბრეს ანგარიში, თამაშის მიწურულს კი გადამწყვეტი ბურთი გატანაც შეძლეს მასპინძელთა კარში—2:1.

III ზონა

მდგომარეობა 2 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ ოქ.	14	9	2	3	26-13	20
„სპარტაკი“ ნჩ.	14	8	2	4	24-14	18
„ტორპედო“	15	8	2	5	25-17	18
„კოლხეთი“	14	7	3	4	13-12	17
„სპარტაკი“ ტმ.	14	8	0	6	21-24	16
„ლოკომოტივი“	14	7	2	5	17-11	16
„ცემენტი“	14	5	6	3	19-15	16
„ლორი“	14	7	1	6	19-21	15
„მეტალურგი“	14	6	2	6	23-16	14
„მერცხალი“	14	6	2	6	18-19	14
„დინამო“	14	6	1	7	13-13	13
„ვოლგარი“	14	6	1	7	13-19	13
„ისკრა“	14	5	3	6	12-23	13
„დრუჟბა“	14	5	2	7	16-11	12
„ლუჩი“	15	5	2	8	17-21	12
„ნარტი“	15	4	4	7	21-22	12
„ურალანი“	13	5	1	7	21-19	11
„სპარტაკი“ ან.	14	5	1	8	14-23	11
„ოლიმპია“	14	4	3	7	13-24	11
„მაშუკი“	14	2	6	6	9-16	10

ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატები ზოგან გრძელდება, ზოგან კი უკვე დამთავრდა.

შვეიცია

გაიმართა IX და X ტურების მატჩები. „იუნგორდენი“ — „სუნდსვალი“ 4:2, „მალმიო“ — „გაის“ (გიოტებორგი) 2:0, „ფრელუნდა“ — „ნორჩეპინგი“ 2:3, „ვეჭსიო“ — „ბრაგე“ 1:1, „ჰამარბიუ“ — იფკ (გიოტებორგი) 2:1, „ერგრიუტე“ — აიკ (სტოკჰოლმი) 0:1, „გაის“ — „ფრელუნდა“ 2:0, „ბრაგე“ — „ჰამარბიუ“ 1:0, „სუნდსვალი“ — „მალმიო“ 2:3, „ნორჩეპინგი“ — „ერგრიუტე“ 3:0.

	თ.	ბ.	ქ.
„მალმიო“	10	21-13	15
„ნორჩეპინგი“	9	21-8	14
„იუნგორდენი“	10	19-12	12

დანია

X ტური. „ბრონშიო“ — „სილკებორგი“ 4:1, „ლუნგბიუ“ — „კბ კოპენჰაგენი“ 2:1, „ალბორგი“ — „ბ-1903“ 1:1, „ვაილე“ — „არჰუსი“ 0:0, „ოდენსე“ — „ჰერფოლგე“ 1:1, „ნესტვედი“ — „ბრონდბიუ“ 0:0, „იკასტი“ — „ფრეია“ 0:0.

„ლენგბიუ“	10	17
„ბრონდბიუ“	10	15
„ჰერფოლგე“	10	13

ავსტრია

გათამაშების საბოლოო ცხრილი:

„რაპიდი“	36	80-40	54
„აუსტრია“	36	82-46	46
„შტურმი“	36	55-48	42

პოლონეთი

საბოლოო ცხრილი:

„ჯურნიკი“	30	65-30	51
„ქატოვიცე“	30	40-22	40
„ლეგია“	30	39-27	39
ლკს	30	40-29	39

საერთაშორისო ფეხბურთი: ფედეგები, ცხრილები

ჩეხოსლოვაკია

„სპარტა“	30	82-22	49
„დუკლა“	30	54-34	39
„დუნაისკა სტრედა“	30	39-36	35

პორტუგალია

„პორტო“	38	88-16	66
„ბენფიკა“	38	59-25	57
„ბელენენსეში“	38	52-38	48

თასის ფინალი: „პორტო“ — „გიმარაეში“ 1:0.

საბერძნეთი

„ლარისა“	30	50-30	43
ეკ-ი	30	51-31	40
პაოკი	30	60-27	29

თურქეთი

„გალათასარაი“	38	86-35	90
„ბეშიქთაში“	38	68-29	78
„გალატასპორი“	38	64-41	62

ბულგარეთი

„ვიტოშა“	30	67-29	48
„სრედეცი“	30	76-32	46
„თრაკია“	30	52-31	39

უნგრეთი

„ჰონვედი“	30	48-23	41
„ტატაბანია“	30	58-35	37
„დოჟა“ (უიპ.)	30	48-29	37

შვეიცარია

ფინალურ ჯგუფსა და წინასწარ ეტაპზე ერთმანეთს შორის ჩატარებული მატჩების ჯამში.

„ჭასანჭსი“	14	29-19	32
„სერვეტი“	14	38-23	30
„არაუ“	14	24-17	30
„გრასჰოპერსი“	14	23-21	30

საფრანგეთი

„მონაკო“	38	53-29	53
„ბორდო“	38	48-30	46
„მონპელიე“	38	68-38	45

თასის ფინალი: „მეცი“ — „სოშო“ 1:1 (პენალტებით 5:4).

(სპკ. ინფ.)

მოსკოვის მენდელეევის სახელობის ქიმიური ტექნოლოგიის ინსტიტუტისა და ამერიკის ქალაქ ბალტიმორის უნივერსიტეტის ბეისბოლისტთა ბოლო, მესამე შეხვედრის დღეს მას ხშირად ახსენებდნენ. ამ ადამიანს ბევრი ელოდა, იმედი ჰქონდათ, რომ ნახავდნენ, მაგრამ ეშვიბდნენ კიდეც: შესძლებს კი ჩამოსვლას, ალბათ, სიბერე მოერია და დაუძლურდაო. ამერიკელთა დელეგაციის ხელმძღვანელმა დოქტორმა კოლომბომ და მთარგმნელმა ენ გარსიიდმა საკდესის კორესპონდენტთან საუბარშიც იგივე გაიმეორეს, მაგრამ ეშვები მაინ გაქარწყლდა — იგი გამოჩნდა და აი, იმ ფირმის („ჩილევიჩ კორპორეიშნ“) წარმომადგენელი, რომელმაც ის ამ თამაშზე ითქვა, გვაცნობს კარელიის ქალაქ სუიაორვში მცხოვრებ ტანდაბალ, ახალგაზრდულად შემართულ, კეთილ და მხიარულ ადამიანს.

მისი ახდენილი ოცნება

მაინც ვინ არის იგი და რატომ ელოდნენ ასე მოუთმენლად მის გამოჩენას?

ალბერტ ლონი წარმოშობით ამერიკელია, მაგრამ 56 წელია, რუსეთში ცხოვრობს. იგი უცნაური, რთული, ტრაგიკული, მაგრამ ერთობ საინტერესო ბედის კაცია.

მას შემდეგ, რაც კომუნისტმა ალბერტ ლონმა სამი თვე შეიფარა პოლიციისგან დევნილი ფორდის ქარხნის დეტროიტელ მუშათა უდიდესი გაფიცვის ორგანიზატორი, აშშ-ის კომპარტიის მეშვიდე რეგიონული ორგანიზაციის მდივანი რუდოლფ ბეკერი, ახალგაზრდა ამერიკელ კომუნისტთა კავშირის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ უმჯობესი იყო, ლონი ემიგრაციაში წასულიყო საბჭოეთში. ეს მოხდა 1932 წელს.

მის მკირე ბარგში ყველაზე ძვირფასი ნივთები... ბეისბოლის ბურთები იყო. ერთადერთი, რაც ამერიკული ცხოვრების წესიდან გამოვიყოლე — იხსენებს ლონი.

ბურთები ძალიან მალე გამოადგა. იმ დროს ბეისბოლისტთა შეხვედრები საკმაო რაოდენობის მაყურებელს იზიდავდა მოსკოვში, პეტროზავოდსკსა და ორკში — იქ, სადაც ახალგაზრდა ამერიკელები შრომობდნენ და მოცალეობის ჟამს ამ თამაშით ირთობდნენ თავს. 1936 წელს მოსკოვის „ლოკომოტივის“ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვისა და პეტროზავოდსკის ნაკრები გუნდები. პეტროზავოდსკელთა გუნდის კაპიტანი სწორედ ალბერტ ლონი გახლდათ. იმ დღეს მოხდა, ერთი შეხედვით, ძალიან ჩვეულებრივი ამბავი, რომელმაც შემდეგ ტრაგიკული როლი შეასრულა ლონის ცხოვრებაში. მატჩის შემდეგ პეტროზავოდსკელ ბეისბოლისტებთან მიირბინა ამერიკის საელჩოს ერთმა ახალგაზრდა თანამშრომელმა, რომელმაც ჯერ გამარჯვება მიულოცა მათ, შემდეგ კი შესთავაზა — ჩვენი საელჩოს გუნდს ეთამაშეთო. კაპიტანმა უარით გაისტუმრა საელჩოს წარმომადგენელი.

1938 წელს კი ლონს უცხოეთის ქვეყნის ჯაშუშობა დასწამეს და დააპატიმრეს. ძიების მასალების მიხედვით, იგი გადაბირა ამერიკის საელჩოს სწორედ იმ წარმომადგენელმა. სასჯელი შედარებით მსუბუქი იყო — სამი წლით თავისუფლების აღკვეთა. ეს იმით აიხსნებოდა, რომ ლონმა, ვითომცდა „ვერ მოასწრო საიდუმლო ცნობების გადაცემა“.

გათავისუფლებამდე რამდენიმე დღე რჩებოდა, ომი რომ დაიწყო. როგორც „სოციალურად საშიშმა ელემენტმა“ ლონმა კიდევ ხუთი წელი დაჰყო ციხეში, მიუხედავად იმისა, რომ ითხოვა, ფრონტზე გამიშვითო. შემდეგ კვლავ გადასახლეს — ამჯერად ათი წლით.

ამ მძიმე განსაცდელმა ვერ დათრგუნა და გააბოროტა ეს გულადი ადამიანი. ერთგვარად შემსუბუქდა თუ არა გადასახლებულთა ყოფა, ამ „წითელმა“ (ეს მეტსახელი მას ამერიკაში შეერქვა) კვლავ სპორტში მეცადინეობას მიჰყო ხელი — ბეისბოლის ბურთების არქონის გამო ეს თამაში კალათბურთით შეცვალა და, სხვათა შორის, ადგილობრივ ბავშვებსაც ავარჯიშებდა.

1956 წლის სექტემბერში ალბერტ ლონი რეაბილიტირებულ იქნა.

ახლა იგი პენსიაზეა: მანამდე ერთი დიდი ტრესტის მთავარ ენერგეტიკოსად მუშაობდა. 1966 წელს დაჯილდოვდა „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

— მთელი ცხოვრება ვოცნებობდი მენახა, როგორ ითამაშებდნენ ბეისბოლს საბჭოთა ახალგაზრდები. და აი, დადგა ამ ოცნების განხორციელების დროც. მე ეს უსაზღვროდ მახარებს — განუცხადა ლონმა საკდესის კორესპონდენტს.

რამდენიმე წუთის შემდეგ კი მან და მოსკოვის ქიმიური ტექნოლოგიის ინსტიტუტის გუნდის მწვრთნელმა ანდრეი ბოროდინმა წამოიწყეს საინტერესო საუბარი იმ პრობლემებზე, რომლებიც ახლად ფეხადგმული საბჭოთა ბეისბოლის წინაშე დგას. ამ პრობლემების მიუხედავად, ალბერტ ლონი დარწმუნებულია: „ბეისბოლი ჩვენში განვითარდება“.

მ. სკუბაკოვა,
საკდესის კორ.

ახალი წიგნები

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში“ გამოსცა რამდენიმე წიგნი ალპინიზმზე. კერძოდ, მკითხველი გაეცნობა სპორტის ოსტატ, სსრ კავშირის ჩემპიონატის ორი ოქროს მედლის მფლობელისა და არაერთგზის პრიზიორის ჯუმბერ კახიანის დღიურებს, რომელიც წიგნის ავტორმა გ. ავალიანმა შეკრიბა. „ისევ გეწვევით მწვერვალებო“ — ასე ჰქვია ამ წიგნს. რედაქტორია მ. დანელია, რეცენზენტი სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ოთარ გოგინეიშვილი.

ცნობილი ქართველი სწავლულის, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ლევან მარუაშვილის წიგნში — „მოგზაურობა ქვეყნიერების ბანზე“, აღწერილია 1932 წლის ტაჯიკეთის კომპლექსური ექსპედიციის საქმიანობა დარვაზის ქედზე (პამირი). სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამ ექსპედიციაში, რომელიც ცნობილი მეცნიერების ნ. ჯილენკოსა და ლ. ბარხაშის ხელმძღვანელობით ჩატარდა, მონაწილეობდა ახალგაზრდა ქართველი სპეციალისტი ლევან მარუაშვილი. წიგნის რედაქტორია მ. ერისთავი.

ილუსტრირებულ გზამკვლევს კი ჰქვია „იალბუზი“, რომლის ავტორია საქართველოს ალპური ლუბის ინსტრუქტორ-მეთოდისტი დენიზა გოზალიშვილი, რედაქტორია საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი სარგის ცაიშვილი.

ახალ ნაშრომებს ინტერესით წაიკითხავენ მთითა და მთამსვლელობით გატაცებული მკითხველები.

შარშანდელი ფინალის გამეორება

ლონდონი. უიმბლდონის ჩოგბურთელ ქალთა ტურნირი, როგორც ჩანს, შარშანდელ ფინალს იმეორებს, სადაც მთავარი მონაწილეები ისევ შტეფი გრაფი (გფრ) და მარტინა ნავრატილოვა (აშშ) იქნებიან. ამჯერად ვის დარჩება გამარჯვება ძნელი სათქმელია, მაგრამ გადამწყვეტ ეტაპს გერმანელმა ჩოგბურთელმა რომ უფრო ადვილად მიაღწია, ეს ფაქტია.

ნახევარფინალში გრაფის მეტოქე პამ შრაივერი (აშშ) იყო. ბრძოლა ამ ეტაპზე თითქოს უფრო დაძაბული უნდა ყოფილიყო, მაგრამ გერმანელმა გასაოცრად იოლად მოიგო შეხვედრა. შრაივერმა ორ პარტიაში მეტოქეს მხოლოდ სამი გემი აართვა. გრაფმა გაიმარჯვა 6:1 და 6:2.

მეორე ფინალისტს კრის ევერტთან (აშშ) თამაში აშკარად გაუჭირდა და წარმატებას მხოლოდ მესამე პარტიაში მიაღწია—6:1, 4:6, 7:5. ასეა თუ ისე, ნავრატილოვა ფინალში გავიდა და ახლა მას მსოფლიოს პირველ ჩოგბურთელთან ექნება დავა.

საბჭოთა ჩოგბურთელები შეჯიბრებას მხოლოდ წყვილთა თანრიგში განაგრძობენ და საკმაოდ წარმატებითაც. ლარისა სავჩენკომ და ნატალია ზვერევამ ჯერ მერვედფინალში მოიპოვეს სენსაციური გამარჯვება უიმბლდონის ხუთგზის ჩემპიონებთან მარტინა ნავრატილოვასა და პამ შრაივერთან (7:6, 6:2), მერე კი როზალინ ფეირბანკისა (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა), გიგი ფერნანდესის (პუერტო-რიკო) ინტერნაციონალური წყვილი დაამარცხეს 6:4, 6:2 და ნახევარფინალში გავიდნენ.

ცნობილია ვაკთა ნახევარფინალური წყვილებიც. აქ ერთმანეთს შეხვდებიან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია) — ბეკერი (გფრ) და ედბერგი (შვეცია) — მეჩირჟი (ჩეხოსლოვაკია).

დაიწყო იუნიორ ჩოგბურთელთა ტურნირიც, პირველი გამარჯვებები მოიპოვეს ანდრეი ჩერკასოვმა და ნატალია მედვედევამ.

ჭადრაკის სასახლის პირველობაზე

დამთავრდა თბილისის ჭადრაკის სასახლის პირველობის ნახევარფინალური ტურნირი, რომელიც შვეიცარიული სისტემით, 11 ტურად ჩატარდა. შასში 60-მდე მოჭადრაკე მონაწილეობდა, ნახევარზე მეტს ოსტატობის კანდიდატები შეადგენდნენ. შეჯიბრება მეტად უშეღავათო ბრძოლაში მიმდინარეობდა. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ახალგაზრდა ოსტატობის კანდიდატმა ბექა კვარაცხელიამ (მწვრთნელი ოთარ თურქესტანიშვილი), რომელმაც დაუმარცხებლად განვლო ტურნირი და 9,5 ქულით I ადგილი დაიკავა. შემდეგ მოდიან: ვასილ ვაშაკიძე — 8,5, ვალერი არზუმანოვი, არჩილ წერეთელი, თენგიზ ლომაძე — 8-8.

ეს ხუთი მოჭადრაკე დაშვებულია ჭადრაკის სასახლის პირველობის ფინალურ ტურნირში. 8 ქულა დააგროვა გია გოგოხიამაც, მაგრამ უარესი კოეფიციენტის გამო მას VI ადგილი ერგო.

პირტონ სენა თუ ალენ პროსტი?!

ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ დეტროიტის ქუჩებში გაიმართა „ფორმულა 1“ კლასის ავტომობილებთა რბოლაში მსოფლიო ჩემპიონატის მეექვსე ეტაპი. გათამაშდა აშშ-ს „დიდი პრიზი“.

დეტროიტის ტრასის, რომელიც ქალაქის ქუჩებში გადის, სიგრძე 253,449 კმ-ია.

სტარტზე პირველ რიგში კვლავ „მაკლარენ-ჰონდას“ ორი მანქანა იდგა. აირტონ სენამ და ალენ პროსტმა კვლავ დიდი მანძილით ჩამოიტოვეს მეტოქეები. უნდა აღინიშნოს, რომ კანადის ეტაპის სამეულმა ახლაც იგივე თანამიმდევრობით გადაკვეთა ფინიშის ხაზი.

აირტონ სენამ 63 წრე გაიარა 1 სთ. 54 წთ. 56,03 წმ-ში. „ქუჩების მეფედ“ წოდებულმა ბრაზილიელმა სპორტსმენმა ამ ტრასაზე მესამედ გაიმარჯვა. საერთოდ კი ეს სენას მეცხრე „დიდი პრიზია“.

გთავაზობთ მეექვსე ეტაპის შედეგებს: 1. აირტონ სენა (ბრაზილია) — 9 ქულა; 2. ალენ პროსტი (საფრანგეთი) — 6 (ორივე „მაკლარენ-ჰონდა“), 3. ტიერი ბუტსანი (ბელგია, „ბენეტონ ფორდ კოსუორტი“) — 4; 4. ანდრეა დე ჩეზარისი (იტალია, „რიალ-ფორდ კოსუორტი“) — 3; 5. ჯონათან პალმერი (ინგლისი, „ტაიერელ ფორდ კოსუორტი“) — 2; 6. პიერ ლუიჯი მარტინი (იტალია, „მინარდი ფორდ კოსუორტი“) — 1.



როგორც ხედავთ, „მინარდის“ გუნდში ცვლილებაა. ესპანელი ადრიან კამპოსის ნაცვლად გამოვიდა იტალიელი პიერ ლუიჯი მარტინი, რომელიც ადრე იცავდა ამ ფირმის ღირსებას.

რბოლის ექვსი ეტაპის შემდეგ 45 ქულით კვლავ ალენ პროსტი ლიდერობს. მის თანაგუნდელ აირტონ სენას 33 ქულა აქვს. 18 ქულით მესამე ადგილზეა ავსტრიელი გერჰარდ ბერგერი („ფერარი“). 11-11 ქულა აქვთ ნელსონ პიკეს და ტიერი ბუტსანს. მიქელ ალბორეტო („ფერარი“) მეექვსე ადგილზეა და 9 ქულა აქვს. დერეკ უორვიკი (ინგლისი, „ეროუზ ჰეგატრონი“) 8 ქულით მეშვიდე ადგილზეა. ჯონათან პალმერს 5, ანდრეა დე ჩეზარისს — 3, ივან კაელის — 2. სატორუ ნაკაჰიმას (იაპონია, „ლოტუს ჰონდა“), ალესანდრო ნანინის (იტალია, „ბენეტონ ფორდ კოსუორტი“), რიკარდო პატრეზეს (იტალია, „უილიამს ჯადი“), ედი ჩივერს (აშშ, „ეროუზ მეგატრონი“) და პიერ ლუიჯი მარტინის — თითო.

კონსტრუქტორთა პირველობაზე 78 ქულით პირველ ადგილზეა „მაკლარენ-ჰონდა“. 27 ქულით მეორეა „ფერარი“. „ლოტუს-ჰონდას“ და „ბენეტონ ფორდ კოსუორტს“ 12-12 ქულა აქვთ. „ეროუზ მეგატრონს“ — 9, „ტაიერელ ფორდ კოსუორტს“ — 5, „რიალ ფორდ კოსუორტს“ — 3, „მარჩ ჯადს“ — 2, „უილიამს ჯადს“ და „მინარდი ფორდ კოსუორტს“ — 1-1.

ჩემპიონატის მეშვიდე ეტაპი გაიმართება 3 ივლისს, საფრანგეთში, პოლ რიკარის ტრასაზე.

დავით ჩუბინიძე.

სპორტული ერუდიტის ბიბლიოთეკა

1-12. ფეხბურთი. საკავშირო შეჯიბრება 1972-73 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ვ. დარასელიას პრიზზე. **ოჩამჩირე.**

2-8. ფრენბურთი. სსრ კავშირის თასი. ვაკთა გუნდების II ეტაპი. **ბათუმი.**

5-10. ველოტრეკი. საქართველოს პირველობა 1973-74 წლებში დაბადებულ მოზარდთა შორის. **თბილისი.**

6-10. ჩოგბურთი. საქართველოს პირველობა 1974-75 წლებში დაბადებულ მოზარდთა შორის. „ა“ კლასი. **თელავი.**

14-17. ხახანძრო გამოყენებითი სპორტი. საქართველოს პირველობა. 1971-74 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **ქუთაისი.**

16-19. ველოტრეკი. საქართველოს პირველობა ოლიმპიურ სახეობებში 1973-74 წლებში დაბადებულ მოზარდთა შორის. **თბილისი.**

25. კალათბურთი. საერთაშორისო შეხვედრა — სსრ კავშირი-აშშ, **თბილისი.**

28-31. ცურვა. საქართველოს სსრ პირველობა 1974-78 წლებში დაბადებულ მოზარდთა შორის — „ოლიმპიელები ჩვენს შორის არიან“. **ხობი.**

გამარტივებული პროგრამით

თბილისის ძველ ველოტრეკზე გაიმართა შეჯიბრება რესპუბლიკის პროფსაბჭოს ველოსკოლის პრიზზე. ვინაიდან მონაწილეთა შორის იყვნენ რაიონების სპორტსმენები, რომლებსაც ტრეკი არ გააჩნიათ, ასპარეზობა ჩატარდა გამარტივებულ — ინდივიდუალურ და წყვილთა გამოდევნებით რბოლებსა და გიტებში (ადგილიდან და სვლით).

გამარჯვებულთა და პრიზიორთა შორის იყვნენ აჭარის და რუსთავის წარმომადგენლები. ეს, რა თქმა უნდა, სასიამოვნო ფაქტია. სწორედ ამიტომ გამოვუყოფთ კიდეც აჭარის გუნდის ორ წარმომადგენელს ნატალია ოლიშენკოსა და ნატალია ჟურინას, რომლებმაც პირველი ადგილები დაიკავეს.

შეჯიბრებას გაურკვეველი მიზეზით თავი აარიდა ქუთაისმა, რომელსაც ჰყავს კარგი გუნდი და რომელიც სპორტის ამ სახეობის განვითარებისთვის მონდომებით იბრძვის. მით უფრო გაუგებარი იყო ქუთაისელთა პასიურობა ამჯერად.

ავთანდილ გუნია.

სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 3 ივლისი. ოქროყანის სპორტული ბაზა. **ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მეშახტე“ (ტყიბული). დასაწყისი 18 ს.**

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

კაპიტალური შეკეთების შემდეგ მწყობრში ჩადგა თბილისის სპორტკომპლექს „დინამოს“ საცურაო აუზი. ყველა ასაკის მოცურავეთათვის, დაწყებული 6 წლიდან, აღდგენილია აბონემენტთა ჯგუფების მუშაობა.

აუზის მისამართი: ა. წერეთლის გამზ. № 2, ტელ. 95-04-56.
თბილისის სპორტკომპლექსი „დინამო“.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„შერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. ობიექტის ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ჩოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10796